პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი ხუთშაბათი 30 აპრილი № 100 (18042)

ფასი 2 კაპ.

გეგმა-ვადამდე

საქართველოს მრეწველობის წარმატება

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 1 მაისისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აპრილის გეგმა.

საწარმოებში გრძელდება შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ფართოდ გაიშალა ბრძოლა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულზე, სათბობზე, ენერგიაზე, ლითონპროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული უზრუნველყოფისათვის.

როგორც ქალაქ თბილისის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აპრილის გეგმა. (სატელეფოტო).

საბჭოთა საქართველოს იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ცხინვალში

მშრომელ ადამიანთა მტკიცე ნაბიჯები

ივალ 1 მაისია — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. გაზაფხულის ამ პირველ დღესასწაულს გალვიძებულ ბუნებასთან ერთად ხალისით ეგებება გამრჯე ადამიანი.

წლეულს მაისობა საქართველოს მშრომელებისათვის ფანსაკუთრებული — საიუბილეოა. ახლოვდება ის ნათელი დღე, როდესაც ჩვენმა ხალხმა საზეიმოდ უნდა აღნიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავი. ახორციელებენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკი აქტიურად არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის ფორუმების მიერ დასახული პროგრამისა და 1981 წლის გეგმების უთუო შესრულებისათვის. შედეგიც სახურველია: დღეს ჩვენ მკითხველს ვამცნობთ, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აპრილის სახელმწიფო გეგმები. დღესასწაულის წინ ამგვარი სახეობის პატაკები ჩვენი ხალხის შეხანიშნავ ტრადიციად იქცა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ვიხელმძღვანელოთ ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამოცანებით, რომლებიც გამომდინარეობს ამ ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

უახლოეს ათწლეულში ჩვენ უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალის არსებითს გადიდებას. ეს მოხდება სახალხო მეურნეობაში პროგრესული სტრუქტურული ძვრების, მისი დარგთაშორისი და შიდადარგობრივი პროპორციების სრულყოფის შედეგად. 1981-1985 წლებში საგრძნობლად გაიზრდება რესპუბლიკაზე უდიდეს სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრენი. იქმნება ახალი საწარმოები, რაც საშუალებას მოგვცემს საზოგადოებრივ წარმოებაში ჩავაბათ ჯერ კიდევ გამოუყენებელი შრომითი რესურსები. ამასთან გათვალისწინებულია არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური ჯანახლება.

მთავარი ამოცანა კი, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ სამოკმედოდ დაგვისახა, — ეს არის ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ უაქტორებზე მტკიცე გადასვლა, რათა ავამაღლოთ მთელი ჩვენი მუშაობის ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები.

განვლილ ხუთწლედში საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის მატიანეში არაერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს. „შეათე ხუთწლედი, როგორც მომდინარე წლის 19 მარტს გამართულ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე თავის მოხსენებაში თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — ერთ-ერთი საუკეთესო ხუთწლედია საბჭოთა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, რომელიც წელს თავის მე-60 წლისთავს აღნიშნავს.

ბოლო ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკას ახასიათებს არნახული რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. უმაგალითოდ განმტკიცდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, ამაღლდა ადამიანთა ცხოვრების კულტურული დონე".

ჩვენ მტკიცედ გვჯერაც ადგილი ქვეყნის მოწინავე რესპუბლიკებს შორის. ამის რეალური შესაძლებლობა შეგვიქმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა განხორციელებამ, იმ დიდმა სიბატიმატურმა ზრუნვამ, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელებისათვის იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ახლა რესპუბლიკაში საიუბილეო მზადების დღეებია, ყველგან — სამრეწველო საწარმოებში, შახტებსა თუ მაღაროებში, სამშენებლო ობიექტებზე, მინდორ-ველად, სატრანსპორტო, სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებათა კოლექტივებში დიდი შრომითი პათოსი ხუფევს. 60 წელი რა ბედნიერ კაცობრიობის განვითარებისათვის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა ამ მოკლე ისტორიულ პერიოდში ჭეშმარიტად რევოლუციური ნახტომი გააკეთა პროგრესისაკენ. ამა გავიხსენოთ, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრია ზომ თითქმის ნულიდან დაიწყო. ტყავეულის, ღვინისა და ლუფის, ასანთისა და აგურის პრიმიტიული ქარხნები, რამდენიმე მაღარო — აი ყველფერი, რაც მის რევოლუციამდელ მრეწველობას წარმოადგენდა.

ექვს ათეულ წელიწადში ჩვენ გავლეფილ გზა ურიმდან თვითმფრინავშენებლობამდე, თოხიდან კოსმოსური ხელსაწყოებამდე. თუ კი 1923 წელს ლენინს საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველომ, რომელიც ოდითგანვე წვრილგლეხურ მეურნეობათა ქვეყანა იყო, გაგზავნა თამბაქო, თაფლი, ღვინო, სხვადასხვა ჯიშის მერქანი, დღეს მრავალ საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაზე საქართველო გზავნის უზუსტეს ჩარხებს, საზომ აპარატურას, ელექტრონულ ხელსაწყოებს. ნუალქვეშაფრთიან გემებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ჩაის ფაბრიკების მოწყობილობას... მსოფლიოს 70 ქვეყანაში იგზავნება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია.

ბიდროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა — ასეთია არსებული ნუსხა ეკონომიკის დარგებისა, რომლებიც საქართველოში შეიქმნა სოციალისტური მშენებლობის წლებში.

ახალი ხუთწლედი ჩვენმა რესპუბლიკამ მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით დაიწყო. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს, როგორც ცნობილია, სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებულია ვადამდე, 1981 წლის 28 დეკემბრისათვის შესრულდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა. წლის მანძილზე 5 პროცენტით უნდა გაიზარდოს წარმოების მოცულობა, თუმცა გეგმა 4,9 პროცენტს ითვალისწინებს, ეს ამოცანა დადებითად რომ გადაწყდეს, საგნობა წლეულს ვაჭარბოთ 85 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია. ამასთან მრეწველობაში პროდუქციის მატების 72 პროცენტი უნდა მივიღოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. ამ მიზნით ჩვენი სამრეწველო პროგრამაა უზრუნველყოფა წარმოების უპირატესი განვითარება საწარმოთა ტექნიკური განახლების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების ყოველმხრივი სრულყოფის, წარმოების კულტურის ამაღლების გზით და სხვ.

პირველი კვარტალის შედეგების ანალიზი მეტყველებს, რომ დასახული პროგრამა წარმატებით ხორციელდება. პროდუქციის მოცულობის რეალიზაციის გეგმას 3,1 პროცენტით გადააჭარბეს. ზეგეგმით გასაღებულია 58,8 მილიონი მანეთის პროდუქცია, 7 პროცენტით მეტი, ვიდრე ეს გასული წლის შესაბამის პერიოდში შევიტანეთ. მაგრამ ყველა საწარმოო კოლექტივმა ერთიანი დატვირთვით როდი იმუშავა. პროდუქციის რეალიზაციის სამი თვის დავალება ვერ შეასრულა 36 საწარმომ, რომლებმაც 14200 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია გაასაღეს, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. მართალია, პროდუქციის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა (სოფლმშენის სამინისტროს გარდა) რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ შეასრულა, მაგრამ დასანანია, რომ 17 საწარმომ უკვე იანვარ-თებერვალში მიღწეული წარმოების მატების ტემპი კვარტალის ბოლოს შეანელა. კარგი შედეგი გვაქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში სამრეწველო წარმოების მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. ამ მხრივ სამაგალითონი არიან მეორიული შავი ლითონების საწარმოო გაერთიანების, „საქელექტრომანქანის", საშენეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ელვახ", რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ბოჭკოს, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის" ქარხნებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

კვლავ უურადღების ცენტრშია უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების საკითხი. სამინისტროებს, სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციებს ხელმძღვანელთა სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მხრივ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მდგომარეობა გააუარესეს აჭარის სსრ, ქუთაისისა და ფოთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. მაშასადამე, საჭიროა აღნიშნულმა საოლქო და საქალაქო პარტიულმა კომიტეტებმა ხარისხისათვის ბრძოლას მკაცრი კონტროლი დააწესონ და უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების უკეთ გაშლა ამ მიმართულებით.

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მეთერთმეტე ხუთწლედი აღვნიშნოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის დამკვრელური, ინიციატივიანი შრომით!

ეჭვი არ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ საპირველმაისო მოწოდებას ოთხჯზის ორდენოსანი საქართველოს მშრომელები საქმით უპასუხებენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობას და ურყევ ერთიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

მ. სვანიშვილის კალენდარზე 1983 წელია

მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან დამკვრელური ტემპი, რომელიც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა აიღო, დღითიდღე მატულობს. ოთხ თვეში გამოშვებულია ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი ათზე მეტი ზეგეგმითი „კაზ-608 ვ" მანქანა.

სამაისო შრომითი ვახტის ავანგარდშია შასის საამქროს მოწინავე კბილმჭრელი, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანი მანგურ სვანიშვილი, რომლის სამუშაო კალენდარზე უკვე 1983 წელია.

სურათზე: ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის მოწინავე კბილმჭრელი, სოციალისტური შეჯიბრების მეწინავე მანგურ სვანიშვილი.

ო. ბერეჟნიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-ლიბიის მოლაპარაკება დამთავრდა

28 აპრილს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ლიბიის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ლიბიის მხრივ — ლიბიის რევოლუციის ლიდერი, ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის მეთაური მ. კადაფი და მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

გაგრძელდა აზრთა გაზიარება ისეთ საკითხებზე, როგორიც არის თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, მთელი იმ ძალების ერთიანობა, რომლებიც ანტიიმპერიალისტური პოზიციებიდან იბრძვიან ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ, როგორც უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილება თვალსაჩინოდ მოწმობს, იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმისა და მათი მომხრე მთელი ძალების პოზიციები ძირფესვიანად შეიერყა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ პარტიის XXVI ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მასშტაბით მშვიდობისმოყვარე ძალების დარაზმებისათვის, მათი მოქმედების გააქტიურებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებანი სტიმულს მისცემს მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის სოციალური პროგრესის, სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს.

განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ლიბიის თანამშრომლობის ბევრი საკითხი. დაკონკრეტდა საბჭოთა კავშირისა და ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირის მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების ძირითადი მიმართულებანი. (საკდესი).

□□

საუბარი კრემლში

29 აპრილს კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი და ლიბიის რევოლუციის ლიდერი, ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირის მეთაური მ. კადაფი.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხი, რომლებიც გამომდინარეობს ამ დღეებში გამართული საბჭოთა კავშირ-ლიბიის მოლაპარაკებიდან. (საკდესი).

საპირველმაისო ვახტზე

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 27 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში სალიი გაუმართეს ლიბიის რევოლუციის ლიდერს, ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის მეთაურს მ. კადაფის.

მ. კადაფისთან ერთად სალიოდ იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სალიოდ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის საზელმწიფო კომიტეტების თავჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სალიოზე სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო კადაფი!

პატივცემულო ლიბიელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

მოხარული ვართ კვლავ მოგესალმოთ აქ, კრემლში, თქვენ, ამხანაგო კადაფი, და თქვენთან ერთად ჩამოსულ ლიბიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

როცა სსრ კავშირისა და ლიბიის წარმომადგენელები ერთმანეთს „ამხანაგოს" ეუბნებიან, ეს კარგად ასახავს ჩვენი ურთიერთობის ხასიათს — თანასწორობის, ერთმანეთის პატივისცემის, რევოლუციური სოლიდარობის ურთიერთობას.

ჩვენი სახელმწიფოები ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვენს შორის არის იდეოლოგიური თვალსაზრისის გარკვეული სხვაობაც. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვიყოთ კარგი ამხანაგები, თანამებრძოლნი ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებისათვის, იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ, მყარი, სამართლიანი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ჩვენს თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვითარების ახლანდელი გართულების პირობებში.

ამ გართულების მიზეზი კარგად არის ცნობილი. ეს არის იმპერიალიზმის აგრესიული წრეების, სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციათა მტრების, იმათი პოლიტიკა, ვინც ექსპლოატაციას უწევს სხვა ხალხების ბუნებრივ სიმდიდრეებს და შრომას, ხელს ითბობს გამალებული შეიარაღებით.

ვიეტნამისა და კუბის, ალჟირისა და ანგოლის, ეთიოპიისა და ავღანეთის რევოლუციურმა ხალხებმა, დამოუკიდებელი ინდოეთისა და ამერიკელების მიერ შეიარაღებული ისრაელის მეზობელი არაბული ქვეყნების ხალხებმა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა, ყველამ, თითოეულმა თავისებურად განიცადეს ან ჯერ კიდევ განიცდიან იმას, თუ რა არის თანამედროვე იმპერიალისტი კოლონიზატორების პოლიტიკა, მოსყიდვისა და დივერსიების, ინტერვენციებისა და სისხლიანი ანტიხალხური ომების პოლიტიკა. კაცმა რომ თქვას, ლიბიამაც იცის თავისი გამოცდილებით, რა არის იმპერიალისტებისა და მათი დამჭაშების შანტაჟი და მუქარა.

იმპერიალისტებს არ სურთ შეურიგდნენ იმას, რომ მსოფლიო, რომელშიც ამდენხანს ბატონობდნენ და ბრძანებლობდნენ, უარს ამბობს ემსახუროს და დაემორჩილოს მათ და აღსავსეა რწმენით იაროს თავისი, დამოუკიდებელი გზით.

ისტორია ამ საკითხს ხალხთა თავისუფლების სასარგებლოდ წყვეტს. დღევანდელი მსოფლიო სახელმწიფოთა ორი მესამედი — ეს არის ქვეყნები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ულღისა და იმპერიალისტური ჩაგვრისაგან.

მაგრამ იმპერიალისტები სულაც არ დაგიდევენ არც ხალხების ნება-სურვილს, არც ისტორიის კანონზომიერებებს. მათს აღშფოთებას იწვევს ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც „ტერორიზმს" უწოდებენ. ისინი ყოველგვარ საბაბს იყენებენ სხვა ხალხების საქმეებში ჩარევისათვის, თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისათვის, ხოლო როცა ასეთი საბაბი არა აქვთ, ხელოვნურად ქმნიან მას.

გიახსენეთ, მაგალითად, როგორ გამოიყენა ოფიციალურმა ვაშინგტონმა ირანში თავის დროზე დაკავებული ამერიკელი დიპლომატების ჯგუფის საკითხი. ისინი კარგა ხანია მშვიდობიანად დაბრუნდნენ შინ, ხოლო ინდოეთის ოკეანისა და სპარსეთის ყურის რაიონში ვითომდა „მძევლების გადასარჩენად" გაგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი სამხედრო ფლოტი დღემდე არ მოშორებია ამ წყლებს და საფრთხეს უქმნის გარეშემო სახელმწიფოებსა და საყოველთაო მშვიდობას.

ვინ დაიჯერებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს აწუხებთ სპარსეთის ყურის რაიონიდან ნავთობის ტრანსპორტირების გზების უშიშრობა, როცა მათ იმის გაგონებაც კი არ უნდათ, რომ საიმედოდ იქნეს უზრუნველყოფილი ეს უშიშრობა საერთაშორისო შეთანხმების მეშვეობით?

ანდა ავიღოთ ვითარება მთლიანად ახლო აღმოსავლეთში, ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, რომ კემპ-დევიდის გარიგების ავტორები და ისინი, ვინც დღეს განაგრძობს ამ კურსს, სულაც არ ისახავდნენ და არ ისახავენ მიზნად პირველი ნაბიჯის გადადგმას საყოველთაო მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე.

ახლა ყველასათვის ნათელია ის, რის შესახებაც ჩვენც სსრ კავშირში და თქვენც ლიბიასა და „სიმტკიცის ფრონტის" სხვა ქვეყნებში თავიდანვე ვამბობდით: კემპ-დევიდი მართლაც პირველი ნაბიჯი იყო, მაგრამ იგი გადადგა არა ახლო აღმოსავლეთში მყარი მშვიდობის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელისა და სადათის ეგვიპტის შემადგენლობით არაბთა საწინააღმდეგო სამხედრო ბლოკის შეკოწიწების გზაზე.

სამწუხაროდ, ეს ასეც მოვიდა, რომ აშკარად ამუშავებენ სინის ნახევარკუნძულზე, ანდა კიდევ სადმე არაბულ აღმოსავლეთში ამერიკის ჯარების ხანგრძლივი დაბანაკების გეგმებს. განა ეს არაბი ხალხების პირდაპირი გამოწვევა არ არის? და, რა თქმა უნდა, ეს არის სეროზული საფრთხე სხვა ახლომახლო ქვეყნების უშიშროებისათვის.

ჩვენ საბჭოთა კავშირში დიდად ვაფასებთ პრინციპიულ პოზიციას, რომელიც ამ საკითხებში უკავია ლიბიას. სხვა პროგრესულ სახელმწიფოებთან ერთად თქვენ თანამიმდევრულად ილაშქრებთ იმპერიალისტური ხრიკებისა და ხალხთა უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვართ, რომ არის ახლო აღმოსავლეთში მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა. ეს გზა პრინციპულ და რეალისტურ საფუძველზე, კერძოდ, რა თქმა უნდა, პალესტინის არაბი ხალხის ეროვნულ უფლებათა რეალიზაციის საფუძველზე ყოვლისმომცველი მოწესრიგების პატიოსანი კოლექტიური ძიებაა.

და მინდა კვლავ ხაზი გავუსვა იმას, რის შესახებაც ამას წინათ ვილაპარაკე სკკპ XXVI ყრილობაზე: საბჭოთა კავშირი მზად არის მიიღოს კონსტრუქციული მონაწილეობა ამ მუშაობაში, მზად არის მონაწილეობდეს საერთაშორისო კონფერენციაში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

და კიდევ ერთი რამ, ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაცია, რომელსაც მსოფლიოში მომხდარი ყველა მოვლენის უკან „მოსკოვის ხელი" ელანდება, წამდაუწუმს მოუწოდებს სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს შევთანხმდეთო აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში რაღაც „ქცევის წესების კოდექსის" დაცვის შესახებ. აი მაშინ, გვეუბნებიან ისინი, მსოფლიო უფრო მშვიდობიანი იქნებაო.

რა შეიძლება ამაზე ითქვას?

თუ იგულისხმება რაღაც „წესები", რომლებიც ამარადჟამებენ იმპერიალისტურ ძარცვას, ხსენებულ სახელმწიფოთა მიმართ ძალადატანებს, რაღაც „გავლენის სფეროების" დაწესებას და ა. შ., მაშინ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არასოდეს დავთანხმდებით. ეს ეწინააღმდეგება ჩვენი პოლიტიკის პრინციპს.

ამასთან ერთად სსრ კავშირი ყოველთვის ემხრობოდა და ემხრობა ყველა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში თანასწორობის პრინციპებისა და საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმების მკაცრ და სრულ დაცვას. მაგალითად, ისეთი ნორმებისას, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ჰელსინკის საბოლოო აქტში, ან, ვთქვათ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების 70-იანი წლების ცნობილ შეთანხმებებში, რომლებსაც დღეს, სამწუხაროდ, არად აგდებენ ამერიკის ხელისუფალნი.

სამი კონტინენტის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან ურთიერთობისას ამ ნორმების გამოყენებაზ, ჩვენი აზრით, თანაბარზომიერ ვითარებაში დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ ყველამ:

— ცნოს ყოველი ხალხის უფლება თვითონ, გარედან ჩაურევლად წყვეტდეს თავის საშინაო საქმეებს; უარი თქვან ცდებზე თავს მოახვიონ მათ ბატონობის ან ჰეგემონიის რაიმე ფორმები ან მოაქციონ ისინი რომელიმე სახელმწიფოს „ინტერესების სფეროში".

— განუხრელად სცენ პატივი ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, მათი საზღვრების ხელშეუხებლობასა; არ დაუშვან, რომ გარედან ვინმემ მხარი დაუჭიროს რომელიმე სეპარატისტულ მოძრაობას, რომლის მიზანი ამ ქვეყნების დანაწილებაა.

— უთუოდ ცნონ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს უფლებათანასწორუფლებიანი მოაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ცხოვრებაში, გაანავთანონ ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

— მთლიანად და უთუოდ ცნონ ამ სძხელმწიფოთა სუვერენიტეტი თავიანთ ბუნებრივ რესურსებზე, აგრეთვე საქმით ცნონ მათი სრული თანასწორუფლებიანობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში; მხარი დაუჭირონ მათს მეცადინეობას, რომლის მიზანია კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია, რასიზმისა და აპარტეიდის აღმოფხვრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცნობილ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პატივი სცენ მიუმხრობლობის სტატუსს, რომელიც აიჩინა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესობამ; უარი თქვან ცდებზე ჩაითრიონ ისინი სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში.

აი ასეთი „ქცევის კოდექსს" ვცნობთ ჩვენ და ყოველთვის მზად ვართ დავიცავთ იგი. ამასვე მოვუწოდებთ შეერთებულ შტატებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივ წევრებს და, რა თქმა უნდა, ყველა სხვა სახელმწიფოს. მაშინ მსოფლიოში მართლაც დამკვიდრდება მშვიდობა, და ხალხებიც უფრო იმედიანად განეწყობიან მომავლის მიმართ.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ჩვენ ძალზე დიდად ვაფასებთ ლიბიასთან მეგობრულ ურთიერთობას და დარწმუნებული ვართ, რომ იგი კიდევ უფრო განვითარდება დაწყებული მოლაპარაკების შედეგად.

ჭთავაზობთ სადღეგრძელოს:

— გაუმარჯოს ჩვენს კარგ მეგობარს, ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელს ამხანაგ მოამარ კადაფის!

— დღეგრძელი იყოს ყველა პატივცემული ლიბიელი სტუმარი!

— გაუმარჯოს საბჭოთა და ლიბიელი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას!

— გაუმარჯოს ყველა ხალხის თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

●●

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა მ. კადაფიმ.

მ. კადაფი მოსკოვიდან გაემგზავრა

29 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა ლიბიის რევოლუციის ლიდერი, ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირის მეთაური მუამარ კადაფი. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

აეროდრომზე მ. კადაფი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

□□

სურათზე: ვნუკოვოს აეროდრომზე გაცილების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირ-ლიბიის ერთობლივი კომუნიკე

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 1981 წლის 27_29 აპრილს საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა ლიბიის არაბთა სოციალისტურ სახალხო ჯამაჰირიაში 1 სექტემბრის რევოლუციის ლიდერი პოლკოვნიკი მუამარ კადაფი.

პოლკოვნიკ მ. კადაფისა და მის თანმხლებ დელეგაციას საბჭოთა ხელმძღვანელებმა და საბჭოთა ხალხმა გაუწიეს გულითადი მასპინძლობა, რომელიც გამოხატავს ორი ხალხის მტკიცე მეგობრობის სულისკვეთებას.

მ. კადაფიმ გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის სფინქსი.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვისა და ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელის მ. კადაფის, ლიბიის ჯამაჰირიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის აბუ ბაქრ იუნეს ჯაბერის, საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს მდივნის აბდელ ათი ობეიდის, ატომური ენერგეტიკის საქმეთა მდივნის აბდელ მაჯიდ გაუფის, საგარეო საქმეთა კავშირურთიერთობის მდივნის ალი აბდელ სალამ ტრეიკის, მძიმე მრეწველობის საქმეთა მდივნის ომარ მუსტაფა მუსტასერის, ელექტრიფიკაციის საქმეთა მდივნის ჯ. არბაშის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. რიჟოვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი, სსრ კავშირის ელჩი ლიბიის ჯამაჰირიაში ა. ვ. ანისიმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების გამგე ა. ა. შვედოვი; ლიბიის მხრივ — იბრაჰიმ ბაყდი — კავშირურთიერთობის სამდივნოში პრესის პასუხისმგებელი, მუჰამედ ჰუსნი შაბანი — სსრ კავშირში ლიბიის სახალხო ბიუროს მდივანი, იაპია ზაქარია — საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს ევროპის დეპარტამენტის დირექტორი, აბდალა იაალა — საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი, აშურ ბენ ჰაიალი — საგარეო კავშირურთიერთობის სახალხო ბიუროს ტექნიკური თანამშრომლობის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც ფართო ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები. მათ კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირლიბიის ურთიერთობის მაღალი დონის გამო და განაცხადეს, რომ მხარის უმჯობესად ამ ურთიერთობის განვითარება-გაფართოების გაგრძობას. საბჭოთა კავშირისა და ლიბიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ მათ რეგულარულ პირად შეხვედრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის და შეთანხმდნენ სხვადასხვა დონეზე ურთიერთკონტაქტებისა და კონსულტაციების გაფართოების შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა მ. კადაფის გააცნო სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა და წინადადებათა პროგრამას, რომელთა მიზანია მსოფლიოს ვითარების რადიკალური გაჯანსაღება, დაძაბულობის შენელების გაღრმავება, ხალხთა უშიშროების გაძმტკიცება. მ. კადაფიმ მაღალი შეფასება მისცა ამ კონსტრუქციულ პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს დაძაბულობის გამწვავების, გამალებული შეიარაღების, მუქარისა და ხალხთა საშინაო საქმეებში ჩარევის იმპერიალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გაძლიერებას.

პოლკოვნიკმა მ. კადაფიმ საბჭოთა ხელმძღვანელებს გააცნო ლიბიის რევოლუციის წარმატებანი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ დარგებში, რომელიც მოპოვებულია პირდაპირი სახალხო დემოკრატიისა და ხალხის ხელისუფლების დამყარების და იმის შედეგად, რომ ხალხს მიეცა უფლება თვითონ განაგოს თავისი ბედი, მართოს, ფლობდეს ქვეყნის სიმდიდრეცა და იარაღს რევოლუციის დაცვის ინტერესებისათვის. საბჭოთა ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს ლიბიის რევოლუციის მონაპოვრებს ამ დარგში და ლიბიელი ხალხის მეცადინეობას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, რასიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ არაბი ერის საერთო-ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირისა და ლიბიის ჯამაჰირიის ხელმძღვანელებმა დაწვრილებით განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხები. ამასთან მხარეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს მათი თვალსაზრისი დაძაბულობის ლიკვიდაციის, მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა კანონიერი ინტერესებისა და სუვერენული უფლებების დაცვის, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში იმპერიალისტური ძალების ხრიკებისადმი წინააღმდეგობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ხალხთა თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას და შესაძლებლობას მისცემს მათ დამოუკიდებლად განაგონ თავიანთი ქვეყნების ეროვნული სიმდიდრე.

მხარეები გადაჭრით გმობენ იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას თვითნებურად გამოუცხადონ მსოფლიოს ესა თუ ის რაიონი თავიანთი „საარსებო ინტერესების“ სფეროდ და ამ მიზნით სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინონ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე.

საბჭოთა კავშირი და ლიბიის ჯამაჰირია ასევე გმობენ იმპერიალისტური წრეების ცდებს ერთმანეთთან გააგვიონ ხალხთა გამათავისუფლებელი ბრძოლა და „საერთაშორისო ტერორიზმი“, რომელსაც გმობს საერთაშორისო გაერთიანება. ამ ბრძოლის კანონიერება საქვეყნოდ დაადასტურეს ისტორიულმა დეკლარაციამ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის შინაჭების შესახებ, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა გადაწყვეტილებებმა. ისინი უარყოფენ იმპერიალისტთა პრეტენზიებს „საერთაშორისო ტერორიზმთან“ ბრძოლის საბაბით ხელი გამოიღონ განმათავისუფლებელ მოძრაობათა ჩასახშობად, რომლებიც თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

მხარეები ადგენან იმ მტკიცე აზრს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის საფუძველი უნდა იყოს თანასწორუფლებიანობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ძალის გამოყენებისა ან ძალის გამოყენებით დამუქრებაზე უარის თქმა.

ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის გამხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ აქ კვლავინდებურად დაძაბული ვითარებაა, რომელსაც შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს. ისინი აღნიშნავენ, რომ კემპ-დევიდის შეთანხმებებმა და ეგვიპტე-ისრაელის სეპარატულმა ხელშეკრულებამ მხოლოდ გაამწვავეს რაიონში ისედაც დაძაბული სიტუაციის ხასიათი და უფრო შორეული გახადეს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირისა და ჯამაჰირიის არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ეს შეთანხმებები ეწინააღმდეგება არაბული ქვეყნებისა და ხალხების ძირეულ ინტერესებს, მიზნად ისახავს გათიშოს მათი რიგები, დაამკვიდროს ისრაელის კოლონიზაცია ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, რასაც შეერთებული შტატები ამ რაიონში თავისი სამხედრო ყოფნის გასაძლიერებლად იყენებს.

სსრ კავშირისა და ლიბიის ჯამაჰირიის ხელმძღვანელები გადაჭრით გმობენ ისრაელის განზრახვას დაიმკვიდროს არაბი ხალხებისათვის წართმეული მიწა-წყალი. მათ მიაჩნიათ, რომ ისრაელის ყოველგვარი აქცია, რომელიც მიზნად ისახავს ამ ტერიტორიებზე ისრაელი დაბების შექმნას, იერუსალიმის სტატუსის შეცვლას, ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ ღირებულებათა წაბილწვას, არაბი მოსახლეობის რასობრივი დისკრიმინაციისა და რეპრესიების გაძლიერებას, ტერორს პალესტინელებისა და მათი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, — უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს და საერიოზულად აბრკოლებს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევას.

სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად საბჭოთა კავშირი და ლიბია ყველაფერს იღონებენ, რათა მიაღწიონ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველ მოწესრიგებას იმ საფუძველზე, რომ ისრაელმა გაიყვანოს თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან. განხორციელდეს პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის, სახელმღობარ, საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განუყოფელი ეროვნული უფლებები.

მხარეები კატეგორიულად უარყოფენ ეგვიპტის რეჟიმის, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების სეპარატიულ გადაწყვეტილებებს და ცდებს ჩაეხშონ პალესტინის არაბი ხალხის უფლებები, ამასთან დაკავშირებით ისინი პალესტინის ეგრეთწოდებული ავტონომიის შესახებ მოლაპარაკებას მიიჩნევენ მხოლოდ იმის ცდად, რომ მოუსპონ პალესტინის არაბ ხალხს შესაძლებლობა თვითონ წყვეტდეს თავის ბედს.

საბჭოთა კავშირი პოზიტიურად ეკიდება ლიბიისა და სირიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს მათი ერთიანობის განსამტკიცებლად და მიაჩნიათ ისინი დიდმნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც განამტკიცებს არაბი ერის პოზიციებს რეგიონში სიონისტური და იმპერიალისტური ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლიბიის მხარემ საბჭოთა მხარეს აცნობა ეგვიპტის საზღვარზე ამ ქვეყნის ჯარების კონცენტრაციისა და მანევრების შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის ლიბიის დამოუკიდებლობას, მის უშიშროებას და პროგრესული სოციალური განვითარების გზას, რომელიც მან აირჩია.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ ისინი გმობენ იმპერიალიზმისა და რეაქციის ცდებს, რომლებიც ისწრაფვიან ლაზარი ჩასცენ ლიბიის რევოლუციას და ლიბიელი ხალხის მონაპოვრებს.

საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს იმ დადებითს როლს, რომელსაც სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი ასრულებს იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის შეთქმულების წინააღმდეგ, კემპ-დევიდის კაპიტულანტური კურსის ჩაშლისათვის ბრძოლაში.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ახლო აღმოსავლეთის ახლანდელი ვითარების პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება არაბული სამყაროს სახელმწიფოების, ეროვნულ-პატრიოტული ძალების ანტიიმპერიალისტურ მოქმედებას, მათი თანამშრომლობის განმტკიცებას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს ლიბანში ვითარების გამწვავების გამო და დაგმეს ისრაელის, მისი აგენტურის აგრესიული მოქმედება ლიბანელი ხალხის წინააღმდეგ, მოქმედება, რომელსაც გარედან უჭერენ მხარს. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყდეს ამგვარი აგრესიული აქციები, უზრუნველყოფილ იქნეს ლიბანის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, განმტკიცდეს ლიბანის მთავრობის კანონიერი ხელისუფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და დაცულ იქნეს ლიბანში პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის კანონიერი ინტერესები. სსრ კავშირი და ლიბიის ჯამაჰირია კვლავაც წინააღუდგებიან ლიბანის „ერიზისის“ ინტერნაციონალიზაციის ცდებს, ვინაიდან ისინი არაბი ხალხების ინტერესებისა და ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის წინააღმდეგ არის მიმართული.

საბჭოთა კავშირმა და ლიბიამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ გრძელდება კონფლიქტი ერაყსა და ირანს შორის, და იმპერიალიზმი ცდილობს თავისი ვიწრო მიზნების მისაღწევად გამოიყენოს იგი. მხარეებმა საჭიროდ ცნეს მისი უსწრაფესი პოლიტიკური მოწესრიგება. ისინი მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და მიუმხრობლობის მოძრაობის • მეცადინეობას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის.

მხარეებმა განიხილეს სპარსეთის ყურისა და მეწმენთა ზღვის რაიონში შექმნილი მდგომარეობა და გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების განუწყვეტელი ცდები, ეროვნულნ ამ რაიონის სახელმწიფოთა სამნეო საქმეებში, დაგმეს აგრეთვე აქ საზღვაო და საჰაერო ძალების კონცენტრაცია, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. მათ მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დიეგო გარსიას კუნძულზე, ეგვიპტის, კენიის, ომანისა და სომალის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ბაზების გამოყენება დიდ საშიშროებას უქმნის რეგიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას. ისინი მტკიცედ ილაშქრებენ მსოფლიოს ამ რაიონში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის წინააღმდეგ და საჭიროდ ცნობენ სპარსეთის ყურის რაიონში დამყარდეს სტაბილური და მშვიდი ვითარება ზღვისპირა სახელმწიფოების სუვერენული უფლებებისა და საზღვაო თუ სხვა იმ კომუნიკაციათა უსაფრთხოების გარანტიების საფუძველზე, რომელიც მას დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებენ.

სსრ კავშირი და ლიბია კვლავ აცხადებენ, რომ სოლიდარობენ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის იბრძვის. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ავღანეთის გარშემო შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგება საიმედოდ უნდა უზრუნველყოფდეს ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური და რეაქციული ძალების ყველა ფორმის ჩარევის შეწყვეტას და განუახლებლობას. ავღანეთის პრობლემის საერთაშორისო ასპექტების ასეთი მოწესრიგება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცალკე, ისე სპარსეთის ყურის უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით.

მხარეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ხმელთაშუაზღვისპირეთში მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას ამ მგრძნობიარე რაიონში, რომელიც სამი კონტინენტის— ევროპის, აზიისა და აფრიკის შესაყარზე მდებარეობს. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ევროპის კონტინენტის უშიშროება მჭიდროდ უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის რაიონის უშიშროებას. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრას მოჰყვეს პოზიტიური შედეგები, რაც ხელს შეუწყობდა ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას და ამასთანავე მნიშვნელობაც ექნებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთში ვითარების გაუმჯობესებისათვის.

მხარეები ადასტურებენ თავიანთ სოლიდარობას აფრიკაში კოლონიალიზმისა და რასიზმის სრული ლიკვიდაციისათვის ბრძოლასთან და მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ნამიბიის ოკუპაცია, გაყვანილ იქნეს მისი ტერიტორიიდან სამხრეთ აფრიკის ჯარები, გადაუდებლად და სრულად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ნამიბიის შესახებ, გადაეცეს ხელისუფლება ქვეყანაში ნამიბიელი ხალხის ერთადერთსა და ჰეშმარიტ წარმომადგენელს —სვაპოს.

მხარეები მხარს უჭერენ სამხრეთ აფრიკის ხალხის ბრძოლას აპარტეიდის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციისათვის და მოითხოვენ შეწყდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის აგრესიული აქციები ანგოლისა და მოზამბიკის წინააღმდეგ. ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმების პირშეკვრა, რომელიც არაბი და აფრიკელი ხალხების გამათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ არის მიმართული, ყოველნაირი დაგმობისა და მტკიცე წინააღმდეგობის ღირსია. ისინი კვლავ ადასტურებენ თავიანთ პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XXX სესიაზე მიღებული განენარალური ასამბლეის № 3379 რეზოლუციის მხარდასაჭერად, რომელიც რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციას ეხება.

მხარეები აღნიშნავენ ჩადში მდგომარეობის ახლანდელ ნორმალიზაციას, პოზიტიურ როლს, რომელიც შეასრულა ჩადისადმი ლიბიის დახმარებამ. როგორც ცნობილია, ლიბიამ ჩადის რესპუბლიკას დახმარება გაუწია ჩადის კანონიერი მთავრობის თხოვნის შესაბამისად ამ ქვეყანაში მშვიდობიანი ვითარების აღდგენის შესახებ. ამასთან მათ მიაჩნიათ, რომ ჩადში და მის გარშემო იმპერიალისტური და რეაქციული ძალების ხრიკების ბოლო უნდა მოეღოს.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ საჭიროა ეძებონ გზები დასავლეთი საჰარის პრობლემის მოსაწესრიგებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების შესაბამისად, კერძოდ, საჰარის ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების გადწყვეტილების საფუძველზე.

მხარეები ადასტურებენ თავიანთ სოლიდარობას ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის იმ მეცადინეობის მიმართ, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ინსტიტუტენტი და განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის შემდგომ განმტკიცებასა და ამაღლებას მისი წესდების დაცვის საფუძველზე.

მოლაპარაკების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ლიბიის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მათი შემდგომი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ამ ურთიერთობის მტკიცე ხანგრძლივი საფუძველია ერთმანეთის პატივისცემის, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები და იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მ. კადაფიმ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე წარმატებით ვითარდება და სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირ-ლიბიის ორმხრივი ურთიერთობა სხვადასხვა დარგში. მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი და ლიბია მზად არიან კვლავაც იარონ ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესების შესაბამისად თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

მხარეების აზრით, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და საავჭრო გაცვლის მიღწეული დონე შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო გაფართოვდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მოცულობა.

ამასთან დაკავშირებით მხარეებმა დაადასტურეს, რომ დიდი როლი ეკისრება გაერთიანებულ შერეულ კომისიას და, რომ საჭიროა გააქტიურდეს მისი საქმიანობა სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის მიზნით.

მოსკოვში მ. კადაფის ყოფნისას ხელი მოაწერეს კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის 1981-1982 წლების პროგრამას.

მხარეებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს გამართული ვიზიტის შედეგების გამო. მათ მიაჩნიათ, რომ ვიზიტი ქმედითს წვლილს მატებს ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

ლიბიის რევოლუციის ლიდერმა ულრმესი მადლობა მოახსენა საბჭოთა ხალხს და მის ხელმძღვანელებს პირადად მისი და თანმხლები დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის, აგრეთვე იმ სტუმართმოყვარეობისა და გულითადობისათვის, რასაც მთელი ვიზიტის დროს გრძნობდნენ. მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ვიზიტად მიიწვია ლიბიის არაბთა სოციალისტურ სახალხო ჯამაჰირიაში. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ. ვიზიტის ვადები დამატებით განისაზღვრება.

ტექნოლოგიური ექსპერიმენტი

ფრენის მართვის ცენტრი, 28 აპრილი. (საკადრო). 47 დღეა, რაც კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი „სალუტ-6“ — „სოიუზ-ტ-4“ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობენ.

გუშინ „საორთქლმავლის“ აპარატურის მეშვეობით ეკიპაჟმა შეასრულა კოსმოსური ვაკუუმისა და უწონობის პირობებში აორთქლებისა და შემდგომი კონდენსაციის მეთოდით მოლიბოთნოების ექსპერიმენტების მორიგი სერია. განხორციელდა ტიტანის ნიმუშებზე ვერცხლის დაფრქვევა. სამუშაოები იმ დროს სრულდებოდა, როცა ორბიტული კომპლექსი იყო ორბიტის როგორც ჩრდილოვან, ისე მზით განათებულ ნაწილებში, ამასთან დასაფრქვევი ნიმუშების ტემპერატურას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარი ექსპერიმენტების მიზანია ფრენის დროს კოსმოსური აპარატების კონსტრუქციის გარე ელემენტების დაფარვის აღდგენის ტექნოლოგიის დამუშავება და ამ ოპერაციათა შესრულების დანადგარების შექმნა.

დღეს კოსმონავტები რაბის კამერაში „საორთქლმავლის“ დემონტაჟს მოახდენენ და მის ადგილას დადგამენ ელექტროსახურებელ ღუმელს „შენადნობს“. ექვსი დღის განმავლობაში ამ დანადგარზე გაგრძელდება კადმიუმ-ვერცხლისწყალ-ტელურის ნახევარგამტარი მასალის მონოკრისტალის გამოყვანის ექსპერიმენტი.

დღის განრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე გეოფიზიკური გამოკვლევები დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლის პროგრამის ფარგლებში, მეცნიერული აპარატურის ტესტური შემოწმება, ფიზიკური ვარჯიში.

ტელემეტრიული გაზომვების შედეგებისა და ორბიტული კომპლექსიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი თავს კარგად გრძნობენ.

ᲛᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲐ

სკკპ XXVI ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ჟურნალისტების შრომას, ამავე დროს ახალი დიდი ამოცანები დაუსახა მათ.

„ჩვენი პარტია, — ნათქვამია სკკპ XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, — დიდი ნდობით ეკიდება საბჭოთა ჟურნალისტების მრავალთასიან რაზმს, მაღალ შეფასებას აძლევს მათს ძნელ შრომას. ბუნებრივია, ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ იმით, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ყოველთვის იყოს პარტიული და საერთო-სახალხო, საზოგადოებრივი აზრის ნამდვილი ტრიბუნა. გაზეთისა და ჟურნალის ყოველი სტატია, ტელევიზიისა თუ რადიოს ყოველი გადაცემა უნდა მივიჩნიოთ როგორც სერიოზული საუბარი ადამიანებთან, რომლებიც მოელიან არა მარტო ფაქტების ალალმართალ და ობიექტიურ აღნუსხვას, არამედ აგრეთვე მათს ღრმა ანალიზს, სერიოზულ განზოგადებებს“.

ჩვენი, ჟურნალისტების, უმთავრესი მოვალეობაა, ფართოდ განვუმარტოთ შრომელებს პარტიის XXVI ყრილობის იდეები, დავრაზმოთ ისინი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისა და მთლიანად ხუთწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. უმთავრეს ამტუალურ თემას გვიკარნახებს სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დოკუმენტები. როგორ შევუდგეთ ამ მხრივ მუშაობას და რა უნდა გავაკეთოთ შემდეგში? ამ საკითხზე იყო მსჯელობა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მახარაძის სარაიონთაშორისო ორგანიზაციის კრებაზე, რომელიც ამავ წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის სხდომთა დარბაზში.

კრებას მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში მომუშავე ჟურნალისტებთან ერთად ეესწრებოდნენ მახარაძის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაიონული გაზეთის შტატგარეშე განყოფილებების, საბაგიროს ხელმძღვანელები.

მოხსენება — სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შედეგები და ჩვენი ამოცანები სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შესაბამისად — გააკეთა ჟურნალისტთა კავშირის მახარაძის სარაიონთაშორისო ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარემ, მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორმა ა. გურგენიძემ.

სიტყვიერი წარმოთქვეს მახარაძის რაიონის ჩაის ფაბრიკების სწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გ. ბაბილოძემ, საქართველოს ალკა მახარაძის რაიკომის მეორე მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, მახარაძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, რაიონის სოფლის მეურნეობის სწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტაკაძემ, შრომის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა, ჟურნალისტმა რ. ცეცხლაძემ, ნატანების კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთის „ნატანელი კოლმეურნის“ რედაქტორმა რ. თავაძემ, მახარაძის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, ჟურნალისტმა ვ. ჭანუყვაძემ.

კრებამ მიიღო რეკომენდაციანამახსოვრო, რომელშიც განსაზღვრულია ჟურნალისტთა ამოცანები, შესაბამისი ღონისძიებანი, ძირითადი თემები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დოკუმენტების, სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების მიხედვით.

მ. კილაძე,
მახარაძის რაიონის გაზეთ „ლენინის დროშის“ რედაქტორის მოადგილე.



ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲬᲠᲗᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲠᲓᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ

ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ პარტიული ორგანოს წევრო! — კანონიერი სიამაყე იპყრობს ყველა იმათ, ვისაც კომუნისტებმა ესოდენ დიდი ნდობა გამოუცხადეს. როგორი უნდა იყოს იგი? სამაგალითო და სანიმუშო არა მარტო სახარაგო ჩარხთან თუ ჩაის პლანტაციაში, სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელის პოსტზე თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში. ამასთან მუდამ უნდა აქტიურობდეს, ინიციატივას იჩენდეს, პასუხისმგებელი იყოს იმ პარტიული ორგანოს მთელი საქმეებისთვისაც, რომლის წევრადაც აირჩიეს.

ვინც დღეს აკვირდება ყრილობიდან ყრილობამდე ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს — ცენტრალური კომიტეტის დაუღალავ და სისტესავსე ცხოვრებას, დარწმუნდება იმაში, თუ რა აქტიურობით, მთელი დატვირთვით მუშაობენ მისი წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრეზი და ცდილობენ ასეთივე სამუშაო განწყობილება გადასცენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომიტეტების და ბიუროს წევრებს. ისინი აქტიურობენ არა მარტო ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტაქტივების მომზადება-მოწყობაში, არამედ ინიციატივას იჩენენ რესპუბლიკის, მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში, მონაწილეობენ პირველადი პარტიული და საამქრო ორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებების, პარტიული კონფერენციების მუშაობაში, თავკაცობენ საპრობლემო და სხვადასხვა სახის ჯგუფებს, კომისიებს, პოლიტწრეებსა და სემინარებს, შრომითს კოლექტივებში კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საერთაშორისო თემებზე. ერთი სიტყვითი, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის სული და გული არიან. ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ესწრაფვის იმას, რომ დღენიადაგ იხვეწებოდეს არჩევითი ორგანოს წევრთა რეგალამენტი, აღიკვეთოს მოჩვენებითობა, ფუჭსტყვაობა და ზერელობა, რაც შეიძლება კონკრეტული, სა

ღვაწლმოსილი მშენებელი

ორმოცდაათი წელი მოახმარა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთ უკეთილშობილეს დარგს — მშენებლობას. ასე დაახასიათებს მოკლედ საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერი თინათინ კონსტანტინეს ასული ქუთათელაძე. მან რიგითი დამპროექტებლიდან და სამუშაოთა მწარმოებლიდან დაწყებული გზა განვლო რესპუბლიკის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილემდე.

თავისი შრომითი საქმიანობა თინა ქუთათელაძემ 1930 წელს დაიწყო ამერიკაკავასიის „ქვებპროექტში". ეს ის ხანა იყო, როცა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, საქართველოში პროექტდებოდა და შენდებოდა ჩაის ფაბრიკები, ღვინისა და კონსერვის ქარხნები და სხვა საწარმოები.

თინა ქუთათელაძემ წარმატებით გაართვა თავი დამპროექტებლის ფუნქციებს, მაგრამ მჩქეფარე ენერგია, ორგანიზატორული მუშაობის მიდრეკილება სამშენებლო მოედანზე ეწეოდა, სადაც დასრულებული შენობა-ნაგებობანი განსაკუთრებით აგრძნობინებს ადამიანს შრომის ნაყოფს.

1931 წლიდან იგი სამუშაოთა მწარმოებელია „ახალშენის" სამშენებლო ტრესტში, რომელსაც შემდეგ „თბილისშენი" დარქვა, ხოლო 1933 წლიდან ამავე ტრესტის სამშენებლო კანტორის უფროსია. 11 წლის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ტრესტს, მაგრამ უკვე როგორც მთავარი ინჟინერი.

„თბილისშენის" ტრესტში მისი მუშაობა საქართველოს მშენებელთა დიდი შემოქმედებითი აქტიურობის ხანას დაემთხვა, სწორედ მაშინ მსოფლიო პრაქტიკაში პირველად მშენებლობაში ინერგებოდა მსუბუქი რკინა-ბეტონი ბუნებრივი ფოროვანი შემავსებებით. თბილისში ამ პროგრესული მასალის გამოყენებით აიგო ისეთი შენობები, როგორიც არის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, მთავრობის სახლი, გმირთა მოედანზე მდებარე 11-სართულიანი სახლი, ცირკი, „დინამოს" სტადიონი და სხვ.

თავისი აქტიური პრაქტიკული საქმიანობით თინა ქუთათელაძემ ხელი შეუწყო მსუბუქი ბეტონისა და რკინა-ბეტონის დანერგვას აღნიშნულ ობიექტებზე, რომლებმაც ქალაქი დაამშვენეს. გარდა ამისა მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ქალაქის მშენებლობაში დანერგილიყო ასაწყობი რკინა-ბეტონის ნაკეთობანი.

1947 წლიდან გამოცდილი ინჟინერი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში ჩაება. იგი თბილისის სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო 1951 წელს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს მშენებლობის დარგში.

1952-1953 წლებში თინა ქუთათელაძე პარტიულ სამუშაოზეა — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგეა. შემდგომში იგი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ამ პერიოდში მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ თბილისი მომზადებული ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამის შესასრულებლად, რასაც მაშინ შეუდგა ჩვენი ქვეყანა და იმით გამოიხატებოდა, რომ უზრუნველ ყ ვ ე ყ ო მოსახლეობა კეთილმოწყობილი ბინებით.

1958 წელს თინა ქუთათელაძე საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა, ხოლო 1963 წლიდან დღემდე პირველი მოადგილეა.

საქართველოს სსრ სახმშენში 20 წელზე მეტი ხნის მუშაობის მანძილზე თინა ქუთათელაძე მშენებელი ინჟინრისა და ხელმძღვანელი მუშაკის მიღელ თავის დიდ გამოცდილებას ახმარდა საქართველოში სამშენებლო საქმის განვითარებას, კაპიტალურ დანდებათა წარმატებით ათვისებისა და ეფექტიანობის გადიდების დავალებათა შესრულებას. მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი მწვავე საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე წამოიჭრა რესპუბლიკის მშენებლობის დარგში. ისინი ეხებოდა როგორც მშენებლობის დაგეგმვას, ისე ინდუსტრიული ბაზითა და მატერიალური რესურსებით მის უზრუნველყოფას.

მისი ხელმძღვანელობით განხილეს რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სამშენებლო ობიექტების ბევრი საპროექტო გადაწყვეტა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნოვატორ-ინჟინრებს მისი სახით ყოველთვის ჰყავდათ მხარდამჭერი პროგრესულ გადაწყვეტათა დანერგვისაა. მაგალითად, თინა ქუთათელაძემ ბევრად შეუწყო ხელი იმას, რომ საქართველოში დანერგილიყო ისეთი პროგრესული გადაწყვეტანი, როგორიც არის თხელკედლიანი სივრცობრივი კონსტრუქციები, რომლებიც ხორციელდება როგორც მონოლითური, ისე ასაწყობი რკინა-ბეტონით. მას განეკუთვნება, კერძოდ, სპორტის სასახლის გადახურვის ასაწყობი გუმბათი, რაც ჩვენს ქვეყანაში პირველად განხორციელდა კიდული აწყობის წესით.

თინა ქუთათელაძემ ბევრად შეუწყო ხელი მსხვილბლოკიანი, მსხვილპანელიანი და კარკასული შენობების საქართველოს ბუნებრივ პირობებში გამოსადეგი ვარიანტების შემუშავებასა და შერჩევას.

მან დიდი ღვაწლი დასდო აგრეთვე ადგილობრივი ნედლეულის რაციონალური გამოყენე ბ ი ს სტრატეგიის შემუშავებას, ახალი საშენი მასალების, პროგრესული კონსტრუქციების დანერგვას და სხვ.

თინა ქუთათელაძის დამსახურება დიდად შეფასდა. 1960 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სპატიო წოდება მიენიჭა, იგი არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის წევრად და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. თ. ქუთათელაძე სამი შრომის წოდელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენოსანია, მრავალი მედლის ყავალერია.

ვუსურვოთ ქალბატონ თინას კიდევ მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობა, მჩქეფარე ენერგია და საყვარელი საქმის — მშენებლობის სამსახური.

ზ. წილოსანი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

●●

სურათზე: *თინა ქუთათელაძე. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნამუშევარი.*

ინტერვიუ

მომავლის გადასახედიდან

თბილისში დამთავრდა არქეოლოგთა საკავშირო კონფერენცია

ეს არჩევანი შემთხვევითი როდი ყოფილა: ზუსტად ახლ წლის წინათ საქართველოს დედაქალაქში რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა გაიმართა. წინაპართა მამულიშვილური ღვაწლისა და ამაგის გახსენება ნათელ შუქად შეემატა სწავლულთა ამ ისედაც მნიშვნელოვან, დაუვიწყარ ბჭობას.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში ერთი დაწესებულებაც არ იყო, რომელიც კვლევის საგნად ესოდენ უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის არქეოლოგიურ შეხვედრას დაისახავდა. დღეს კი, 80-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის შესანიშნავი საიუბილეო ზეიმის წინ, ქართული არქეოლოგია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელით შეხვდა საბჭოეთის ყველა კუთხიდან მოწვეულ მეცნიერებს. კარგა ხანია, ქართველ არქეოლოგთა გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება პოვა, რაც ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაადასტურა თბილისის ამუამინდელმა საკავშირო კონფერენციამ.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება კონფერენციის მონაწილე — ბ. რიბაკოვი — აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი:

— პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მინდა სიხარულით გაგიზიაროთ, ის გახლავთ, რომ ჩვენმა კონფერენციამ ნამდვილად მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა.

დიდად გვახარებს და გვეამაყება ჩვენი ქართველი კოლეგებისა და მეგობრების მიღწევები. ისინი წარმატებით იკვლევენ არა მარტო საქართველოს, არამედ, საერთოდ, კავკასიის არქეოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემებს. რესპუბლიკის ყველა კუთხეში მათ ფართო არქეოლოგიური კვლევაძიება აქვთ გაშლილი.

ქართული არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელმაც ასე შესანიშნავად წარმოაჩინა ქვეყნის უძველესი და უმდიდრესი ისტორია, საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა.

ადრინდელზე რომ არაფერი ვთქვათ, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის ალმაჩენები, რომლებითაც ქართველ არქეოლოგთა შრომა დაგვირგვინდა უკანასკნელ ხანებში. კერძოდ, ეს ითქმის თრიალეთის პეტროგლიფებზე, სამადლოსა და ვანის ნაქალაქარებზე, ქვემო ქართლის საკულტო ძეგლებზე და სხვ.

ერთი სიტყვით, ბევრი საგულისხმო რამ ჰქონდათ სათქმელი და გასაზიარებელი ჩვენთვის ქართველ მეცნიერებს. ჩემზე და ჩემს კოლეგებზე განსაკუთრებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მოხსენებების მოსმენამ უშუალოდ გათხრების ადგილას...

არქეოლოგთა საკავშირო კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ვანის, სალხინოს, ციხისგორას, ერნვალს, ძალისის არქეოლოგიური გათხრები, გაეცნენ ექსპედიციების საყრდენ ბაზებს. ასე რომ, მეცნიერთა დიდ შეკრებას, თბილისთან ერთად, თითქმის მთელმა საქართველომ უმასპინძლა.

არქეოლოგთა თბილისის საკავშირო კონფერენციამ, უეჭველად, ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას, რომელიც წარსულს იკვლევს, რათა ვაფასებდეთ აწმყოს და ვხედავდეთ მომავალს.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილი მეორე სპეციალური სესიის საკითხზე

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 27 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გადასცა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შემდეგი წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილი მეორე სპეციალური სესიის საკითხზე:

პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო,

ამ წერილში, რომელსაც თქვენი შეკითხვის პასუხად გიგზავნით, ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილ მომავალ 1982 წლის მეორე სპეციალურ სესიას.

საბჭოთა კავშირის აზრით, აღნიშნული საერთაშორისო ფორუმის მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ მისი სამზადისი სერიოზულად გართულებული საერთაშორისო ვითარების პირობებში იწყება.

შეიარაღების, მათ შორის ყველაზე საშიშ სახეობათა იარაღის, ბირთვული იარაღის განუწყვეტელი დაგრავება წინ უწრეს ამ პროცესის შეკავების ღონისძიებებს. მოლაპარაკებანი შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე შეწყდა ან შეჩერდა, რაც სულაც არ არის საბჭოთა მხარის ბრალი. იგივე ითქმის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებებიც.

ამ პირობებში გამალებული შეიარაღების ალაგმვის ამოცანა კიდევ უფრო აქტუალური ხდება. ახლა სახელმწიფოებმა ყოველნაირად უნდა გააქტიურონ მეცადინეობა ამ დარგში პრაქტიკული შედეგების მისაღწევად.

საბჭოთა კავშირში ჯეროვან პატივს მიაგებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, აფასებენ წვლილს, რომელიც ამ ორგანიზაციას შეიქვს გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხთა გადაწყვეტის გზების ძიებაში.

ამ მიმართულებით სასარგებლო მუშაობა გასწია, ჩვენი აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა პირველმა სპეციალურმა სესიამ 1978 წელს, რომლის მომზადებასა და მოწყობაში საბჭოთა კავშირმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ სესიაზე მიღებულმა საბოლოოო დოკუმენტმა რეგიონი საფუძველი შეუქმნა სახელმწიფოთა მოქმედებას მრავალი წლისათვის განიარაღების დარგში.

საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა პირველი სპეციალური სესიის გადაწყვეტილებებს და წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ. ისინი განზოგადებული სახით იყო ჩამოყალიბებული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის 1980 წლის 11 აპრილის წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი განიარაღების მეორე ათწლეულის ამოცანების თაობაზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 35-ე სესიაზე წარდგენილ მემორანდუმში „მშვიდობისა და განიარაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროების გარანტიებისათვის". ყველა ეს წინადადება, რომელთაგან ბევრი უკვე მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ინარჩუნებს თავის ძალას.

ახლახან გამართულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა შეიარაღების შეზღუდვისა და სამხედრო დაძაბულობის შენელების ხელშემწყობ ახალ კონსტრუქციულ წინადადებათა ფართო კომპლექსი.

ეს წინადადებები ეხება რაკეტულ-ბირთვულ და ჩვეულებრივი ტიპის იარაღსაც, სახმელეთო ჯარებსაც, საზღვაო და საჰაერო ძალებსაც. ისინი ითვალისწინებენ ევროპის მდგომარეობასაც, ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებასაც. წინადადებათა კომპლექსში ლაპარაკია როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ხასიათის ღონისძიებებზე. ყველა ამ წინადადებას აერთიანებს ერთი მიზანი, ერთი საერთო მისწრაფება — ყველაფერი ვიღონოთ, რათა ხელზებს თავიდან ავაცილოთ ბირთვული ომის საფრთხე, შევინარჩუნოთ მშვიდობა მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათაგან ზოგიერთის რეალიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასაც.

საბჭოთა კავშირის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილი მეორე სპეციალური სესია უნდა გახდეს და გახდება კიდეც ახალი სტიმული მოლაპარაკებისათვის შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების კონკრეტულ, მომწიფებულ საკითხებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ იგი ნიშანსვეტად იქცეს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის გზაზე.

რაც შეეხება გენერალური ასამბლეის მომავალი სპეციალური სესიის დღის წესრიგს, საბჭოთა კავშირის აზრით, იგი უნდა ითვალისწინებდეს ზოგად აზრთა გაზიარებას შეიარაღების შეზღუდვის დარგში საქმის მდგომარეობის შესახებ და გენერალური ასამბლეის პირველი სპეციალური სესიის გადაწყვეტილების რეალიზაციის მიმდინარეობის თაობაზე; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ახალი ინიციატივების განხილვას; შესაბამისი საბოლოო დოკუმენტის ან დოკუმენტების მიღებას.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო გამოიჩენს პასუხისმგებლურ მიდგომას და საჭირო პოლიტიკურ ნებისყოფას, მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხთა მომავალი სპეციალური სესია საგრძნობ წვლილს შემატებს საშიში გამალებული შეიარაღების შეკავების საქმეს. ეს განსაკუთრებით ეხება სტრატეგიულ სახეობათა იარაღს. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი ამ საქმის წარმატებას.

ა. გრომიკო,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

საკლესისა და ახალი ამბების საინფორმაციო კორესპონდენტები გვაცნობებენ

29 აპრილი
ესპანეთი

ამზადებენ ახალ გადატრიალებას

მადრიდი. ესპანეთის **გარკვეული ძალები ახალ სამხედრო გადატრიალებას ამზადებენ. ამას წერს მადრიდის გაზეთი „დიარიო-16", რომელიც ეურდნობა ესპანეთის სპეცსამსახურების მიერ თავდაცვის სამინისტროსათვის მომზადებულ მოხსენებას.** გაზეთის ცნობით, ესპანეთის შეიარაღებულ ძალებში არსებობს ქსელი ამბოხების განსახორციელებლად. მასში ჩაფენილია 1981 წლის გამოცემაში, არის პოლ მაკარტნი, ცნობილი „ბითლზების" ანსამბლის მონაწილე. ამ ჯგუფის რეპერტუარში შესული სიმღერების 80 პროცენტი მან ჯონ ლენონთან ერთად დაწერა. ცნობარში პ. მაკარტნის დათმობილი აქვს 41 სტრიქონი — ბევრად მეტი, ვიდრე პოლიტიკოსებს.

19 წელი გავიდა „ბითლზების" პოპულარობიდან, და 12 წელი მას შემდეგ, რაც იგი დაიშალა. პოლ მაკარტნიმ თავისი ჯგუფი — „ფრთები" ჩამოაყალიბა. ორი წლის წინათ მისი სახელი, როგორც ყველაზე პოპულარული კომპოზიტორისა, მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში: მაკარტნის 48 სიმღერა მილიონობით ტირაჟით გამოიცა, იგი 68 „ოქროს ფირფიტის" მფლობელია.

გარდაიცვალა საფრანგეთის უხნესი ქალი

პარიზი. საფრანგეთის ქალაქ ნანტში 111 წლისა გარდაიცვალა ამ ქვეყნის უხნესი მცხოვრები ელაზა როგარი. 1979 წლიდან იგი ქალაქის მოხუცთა სახლში ცხოვრობდა. როგარს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმეხავად მუშაობდა, 108 წლამდე ეკმიმხავთვის არ მიუმართავს. იგი საფრანგეთის ყველაზე ხანგრძლივი მოქალაქე რამდენიმე წლის წინათ გახდა, როცა გარდაიცვალა მისი 112 წლის და ჯულია.

●● რა ქარ ხდება!

მადრიდი. უჩვეულო შეჯიბრება გაიმართა ესპანეთის ქალაქ ტორრემოლინოსში. ადგილობრივი წყალქვეშა ცურვის მოყვარულებმა წყლის ქვეშ მოაწყვეს.... საჭადრაკო ტურნირი. აუზის ფსკერზე პარტიები გათამაშდა მგზნებებით აღტაცებულ ხეიბრაკა დაფებზე.

ლონდონი. თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორმა ინგლისელმა ქალიშვილმა. „დისკოს" მუსიკაზე მათ იცეკვეს 349 საათი და მხოლოდ ყოველი ექვსი საათის შემდეგ ნახევარ საათს იხვენებდნენ დასაძინებლად. ქალიშვილებმა ნინა „რეკორდს" 7 საათით გადააჭარბეს და იმედოვნებენ, რომ მათს „მიღწევას" შეიტანენ „გინესის მიღწევათა წიგნში".

ᲙᲣᲑᲐ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

კუბის მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია სსრ კავშირთან და და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახალ ცხოვრებას აშენებენ. დიდი წარმატებებია მიღწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში.

●●

სურათებზე: (მარცხნივ): *კუბელი სტუდენტი ქალაწვალები;* (მარჯვნივ) *ჰავანის ერთ-ერთი ქუჩა.*

საკლესიის ფოტო.

ᲐᲤᲠ: ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

ამერიკისა და ჩინეთის ფარული მანევრები

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი აქტიურებენ ფარულ მანევრებს, რათა განახორციელონ შეიარაღებული ინტერვენცია კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. მის კანონიერ მთავრობასთან საბრძოლველად აკოწიწებენ „ერთიან" ფრონტს პოლპოტელთა ბანდების ნაშთებისაგან, 1975 წელს დამხობილ ლონ ნოლის პროამერიკული რეჟიმის მომხრეებისა და ემიგრანტი ნაძირალებისაგან, რომლ ე ბ ი ც პრინც ჩოროდომ სიანუკს მიემხრნენ.

ამ უკანასკნელმა, როგორც გაზეთი „ნიუსდეი" იუწყება, „ოფიციალურად" მიმართა შეერთებულ შტატებს თხოვნით დაუბრუნდეს „აქტიური" მოქმედებას ინდოჩინეთში, იარაღით მოამარაგოს ფრონტი. ეს თხოვნა გადასცა პეკინში მოლაპარაკების დროს, რომელსაც სიანუკი აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების დროებით საქმეთა რწმუნებულთან ჩინეთში ჯ. როისთან. „ნიუსდეის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სიანუკმა განაცხადა, რომ ჩინეთი მზარს უშვერს ამ თხოვნას.

პეკინის ხელისუფლებს სურთ გაინაწილონ ვიეტნატონთან კამპუჩიაში ინტერვენციის ორგანიზაციის მატერიალური ტვირთი. როგორც ცნობილია, ისინი ფართო დახმარებას უწევენ ფულით და იარაღით პოლპოტელ ნაძირალებს. ფრონტის დანარჩენ ფრაქციებზე მზრუნველობა ჩინელ ლიდერთა გეგმების თანახმად, უნდა იკისროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ამ კვირაში ვაშინგტონში, იუწყება „ნიუსდეი", უნდა ჩამოვიდეს სიანუკის მთავრობის უოფილი პრემიერ-მინისტრი სონ სანი, რომელიც ხელმძღვანელობს „ქხმერ სერეიის" ანტიკომუნისტურ ბანდებს. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათგან დახმარების მისაღებად სიანუკის ელჩისარი ინ ტამი ეწვია სინგაპურსა და ტაილანდს.

„ნიუსდეისათვის" მიცემულ ინტერვიუში სიანუკმა ხაზი გაუსვა, რომ გადაწყვეტილი აქვს „შური იძიოს" შეერთებული შტატების დამარცხებისათვის ვიეტნამის ომში, და თქვა, რომ, როგორც იგი მოელის, რეიგანის ადმინისტრაცია „სიმპათიით" მოეკიდება კამპუჩიის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის მორიგ პროექტს.

კამპუჩიის სახალხო მთავრობასადმი სიძულვილს მოჰყვა „უწმინდურთა მეფეები კავშირის" შექმნა, რომლის წევრები მზად არიან დაეკამონ ერთმანეთი. ამ სხვადასხვა ჯურის ძალების გაერთიანება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პეკინისა და ვაშინგტონის ზემოქმედებით. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ კამპუჩიელი ხალხი არ დაუშვებს არც ჩინეთის, არც ამერიკის ზრახვების განხორციელებას. ყველა ისინი განწირულია ჩასაფუშავად.

პაკისტანი რეგიონალური ჟანდარმის როლში

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეუდგა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. პაკისტანის სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერის გასაფართოებლად იმ მიზნით, რომ იგი გადაიქცეს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში თავისი სტრატეგიული ჰეგემონისტური ზრახვების განხორციელების პლაცდარმად. წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა ერთ-ერთ ქვეკომისიაში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეებში ჯ. კუნმა კანონმდებლებს მოუწოდა არ შეუქმნან დაბრკოლება ადმინისტრაციის მოთხოვნებს პაკისტანისათვის ამერიკის იარაღის მიწოდების შესახებ. ეს მან იმით დაასაბუთა, რომ „ძლიერ და თავისთავში დარწმუნებული" პაკისტანს „სასიცოცხლო მნიშვნელობა" აქვს ამ რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ინტერესების უზრუნველყოფისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გამოსვლიდან აგრეთვე ცხადი იყო, რომ ოფიციალური ვაშინგტონი სავსებით კეთილმოსურნედ ეკიდება, ისლამაბადის პრეტენზიებს ხელთ იგდოს ბირთვული იარაღი.

მიმოხილველთა აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თავის სტრატეგიულ გეგმებში პაკისტანს მიაკუთვნებს როლს, რომელსაც წინათ ასრულებდა შაჰის რეჟიმი ირანში, — რეგიონალური ჟანდარმის როლს, რომელიც ერთგულად დგას ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ინტერესების სადარაჯოზე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ დასავლეთის ქვეყნები გულუხვად ეხმარებიან პაკისტანის რეჟიმს. მაგალითად, შარშან ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელი პარტნიორი ქვეყნების „კონსორციუმმა" პაკისტანს გაუწია დახმარება 1 მილიარდ დოლარზე მეტი თანხის ოდენობით. მიმდინარე წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს დაქვემდებარებულმა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პაკისტანს მისცა ქვეყნის მთელი ისტორიის მაწმილზე უდიდესი კრედიტი.

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ

ინგლისში გამოიცა ყოველწლიური ცნობარი „ვინ ვინ არის". ისინი, ვინც მასში მოხსენიებულია, დიდი ბრიტანეთის „ისტებლიშმენტს" შეადგენენ: დედოფლის ოჯახის წევრები, თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები. მრეწველები და მხსნიობები... ახალბედებს შორის, რომელთა სახელები შეტანილია 1981 წლის გამოცემაში, არის პოლ მაკარტნი, ცნობილი „ბითლზების" ანსამბლის მონაწილე. ამ ჯგუფის რეპერტუარში შესული სიმღერების 80 პროცენტი მან ჯონ ლენონთან ერთად დაწერა. ცნობარში პ. მაკარტნის დათმობილი აქვს 41 სტრიქონი — ბევრად მეტი, ვიდრე პოლიტიკოსებს.

19 წელი გავიდა „ბითლზების" პოპულარობიდან, და 12 წელი მას შემდეგ, რაც იგი დაიშალა. პოლ მაკარტნიმ თავისი ჯგუფი — „ფრთები" ჩამოაყალიბა. ორი წლის წინათ მისი სახელი, როგორც ყველაზე პოპულარული კომპოზიტორისა, მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში: მაკარტნის 48 სიმღერა მილიონობით ტირაჟით გამოიცა, იგი 68 „ოქროს ფირფიტის" მფლობელია.

გარდაიცვალა საფრანგეთის უხნესი ქალი

პარიზი. საფრანგეთის ქალაქ ნანტში 111 წლისა გარდაიცვალა ამ ქვეყნის უხნესი მცხოვრები ელაზა როგარი. 1979 წლიდან იგი ქალაქის მოხუცთა სახლში ცხოვრობდა. როგარს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმეხავად მუშაობდა, 108 წლამდე ეკმიმხავთვის არ მიუმართავს. იგი საფრანგეთის ყველაზე ხანგრძლივი მოქალაქე რამდენიმე წლის წინათ გახდა, როცა გარდაიცვალა მისი 112 წლის და ჯულია.

●● რა ქარ ხდება!

მადრიდი. უჩვეულო შეჯიბრება გაიმართა ესპანეთის ქალაქ ტორრემოლინოსში. ადგილობრივი წყალქვეშა ცურვის მოყვარულებმა წყლის ქვეშ მოაწყვეს.... საჭადრაკო ტურნირი. აუზის ფსკერზე პარტიები გათამაშდა მგზნებებით აღტაცებულ ხეიბრაკა დაფებზე.

ლონდონი. თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა ორმა ინგლისელმა ქალიშვილმა. „დისკოს" მუსიკაზე მათ იცეკვეს 349 საათი და მხოლოდ ყოველი ექვსი საათის შემდეგ ნახევარ საათს იხვენებდნენ დასაძინებლად. ქალიშვილებმა ნინა „რეკორდს" 7 საათით გადააჭარბეს და იმედოვნებენ, რომ მათს „მიღწევას" შეიტანენ „გინესის მიღწევათა წიგნში".

ინტერვიუ

მომავლის გადასახედიდან

თბილისში დამთავრდა არქეოლოგთა საკავშირო კონფერენცია

ეს არჩევანი შემთხვევითი როდი ყოფილა: ზუსტად ახლ წლის წინათ საქართველოს დედაქალაქში რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა გაიმართა. წინაპართა მამულიშვილური ღვაწლისა და ამაგის გახსენება ნათელ შუქად შეემატა სწავლულთა ამ ისედაც მნიშვნელოვან, დაუვიწყარ ბჭობას.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში ერთი დაწესებულებაც არ იყო, რომელიც კვლევის საგნად ესოდენ უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის არქეოლოგიურ შეხვედრას დაისახავდა. დღეს კი, 80-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის შესანიშნავი საიუბილეო ზეიმის წინ, ქართული არქეოლოგია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელით შეხვდა საბჭოეთის ყველა კუთხიდან მოწვეულ მეცნიერებს. კარგა ხანია, ქართველ არქეოლოგთა გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება პოვა, რაც ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაადასტურა თბილისის ამუამინდელმა საკავშირო კონფერენციამ.

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება კონფერენციის მონაწილე — ბ. რიბაკოვი — აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი:

— პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მინდა სიხარულით გაგიზიაროთ, ის გახლავთ, რომ ჩვენმა კონფერენციამ ნამდვილად მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა.

დიდად გვახარებს და გვეამაყება ჩვენი ქართველი კოლეგებისა და მეგობრების მიღწევები. ისინი წარმატებით იკვლევენ არა მარტო საქართველოს, არამედ, საერთოდ, კავკასიის არქეოლოგიის ფუნდამ

«კავკასიური ცარცის წრე» საქართველოდან

რუსთაველის თეატრის სტგასტროლო დღიური

...ეს ყველაზე ჩვეულებრივი სათაურია მათ შორის, რომლებიც ჟურნალისტებმა ინგლისურ ენაზე ინფორმაციულ ბიულეტენებში ბოლო ორ-სამ კვირაში ინგლისელ მაყურებელთა ყურადღებისა და ინტერესის ასაღვიძებლად